

უკანასკნელად...

ედღვნება უდიდეს მხატვარს
ვინსენტ ვან გოგს.

სხეული ტანჯვით ათენა ღამემ...
ფრთები დასცვივდათ მიწაზე პეპლებს...
ქარებმა სუნთქვით ფუნჯი დაღალეს,
მზესუმზირებმა დრო ჩამოფერფლეს.

მე ხომ შეშლილი ნერვები მტკივა,
სულის წრიალი როგორ გამივლის,
დამძიმებულა ფიქრებით ტყვია
და არყოფნასთან მაჩვენებს ქალივით.

ვერ შევანელებ...მგესღავს ცხოვრება,
ვერ ვემძიმები ოცნების კალთებს,
შეუცნობადი რაც მიგროვდება,
მარადისობის წიაღში ვანთებ.

ვიწრო სამყაროს სიბნელეს ავცდი,
უკვდავებასაც, მინდა, რომ ვწამდე...
უკანასკნელად ნატყორცნი წამით
სული აფრინდეს მიწიდან ცამდე...